საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №300/04
2024 წლის 6 დეკემბერი

ქ. თბილისი

„მიკრობანკებისთვის კონტრციკლური ბუფერის განაკვეთის დაწესების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №116/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის 2024 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„მიკრობანკებისთვის კონტრციკლური ბუფერის განაკვეთის დაწესების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №116/04 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 21/06/2023; ს/კ: 220010000.18.011.016697) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 2**

მიკრობანკები ვალდებული არიან 2024 წლის 10 დეკემბრისთვის დააკმაყოფილონ კონტრციკლური კაპიტალის ბუფერის განაკვეთი –0.25%-ის ოდენობით, 2025 წლის 15 მარტისთვის – 0.5%-ის ოდენობით, 2026 წლის 15 მარტისთვის – 0.75%-ის ოდენობით, 2027 წლის 15 მარტისთვის – 1%-ის ოდენობით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის
პრეზიდენტის მოვალეობის
შემსრულებელი **ნათელა თურნავა**